ხელშეკრულება №395.05.16

ქ. თბილისი 07 ნოემბერი 2016წ.

ერთი მხრივ, **შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია"** (შემდგომში - „შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის მოადგილის გიორგი პაპავას სახით,

და მეორე მხრივ, **შპს „სი-ტი პარკ"** (შემდგომში - „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი გენერალური მენეჯერის ბინიამინ ლაჰავის სახით,

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოში მოქმედი სხვა საკანონმდებლო აქტების საფუძველზე ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია დანართ №1-ში მითითებული ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის ერთწლიანი პარკირების საფასურის გადახდა და შესაბამისად პარკირების სისტემაში გააქტიურება (CPV63712400)(შემდგომში – „მომსახურება").

2. მომსახურების ღირებულება

2.1 მომსახურების შესყიდვა ხორციელდება 14 (თოთხმეტი) ერთეულ ავტომანქანაზე. ერთი ავტომანქანის წლიური მომსახურების საფასური შეადგენს 50 (ორმოცდაათი) ლარს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გადასახადების გათვალისწინებით.

2.2 ხელშეკრულების საერთო ფასი შეადგენს 700 (შვიდასი) ლარს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გადასახადების გათვალისწინებით.

3. მომსახურების გაწევის ვადა და მიღება-ჩაბარების წესი

3.1 მომსახურება ქ. თბილისის მასშტაბით (პარკირების სისტემაში გააქტიურება) განხორციელდება „მიმწოდებლის" ანგარიშზე თანხის ჩარიცხვიდან 1 (ერთი) წლის განმავლობაში.

4. მომსახურების ღირებულების ანაზღაურების წესი

4.1 მომსახურების ღირებულების ანაზღაურება მოხდება საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, უნაღდო ანგარიშსწორების წესით „მიმწოდებლის" საბანკო ანგარიშზე თანხის გადარიცხვის გზით. ანგარიშსწორება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღისა.

5. მომსახურების ხარისხი და გარანტია

5.1 მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ასეთი სახის მომსახურებისათვის დადგენილ სტანდარტებს.

6. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

6.1 „მიმწოდებელის" მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს „შემსყიდველის" მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.

6.2 „შემსყიდველი" ვალდებულია, მომსახურების გაწევის დამადასტურებელი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე ჩაატაროს ინსპექტირება, მომსახურების

ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

6.3 ინსპექტირებისას გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს".

7. მხარეთა პასუხისმგებლობა

7.1 მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა და/ან დარღვევა გამოიწვევს მათ პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7.2 „მიმწოდებლის" მიერ მომსახურების ვადის გადაცილების შემთხვევაში, „შემსყიდველი" უფლებამოსილია დააკისროს მას პირგასამტეხლოს გადახდა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მთლიანი ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის.

7.3 „შემსყიდველის" მიერ მომსახურების ღირებულების გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, „მიმწოდებელი" უფლებამოსილია დააკისროს მას პირგასამტეხლოს გადახდა გადაუხდელი თანხის 0,1 %-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის.

8. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

8.1 ხელშეკრულებაში წინასწარ შეთანხმებული ფასების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველისათვის". ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის შესაბამისად.

8.2 ხელშეკრულებაში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება უნდა გაფორმდეს მხოლოდ წერილობითი ფორმით, დადასტურდეს მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით და დაერთოს ხელშეკრულებას როგორც განუყოფელი ნაწილი.

9. მხარეთა პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება

9.1 მხარეები არ აგებენ პასუხს ვალდებულებათა სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით (მიწისძვრა, წყალდიდობა, სახელმწიფო გადატრიალება და სხვა გარემოებები, რომლებიც არ არიან დამოკიდებული მხარეებზე და ითვლებიან ფორს-მაჟორულ გარემოებებად).

9.2 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს აღნიშნული გარემოების და მისი აღმოფხვრის სავარაუდო ვადის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარე არ თავისუფლდება ხელშეკრულების ნაწილობრივ და/ან სრული შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.

9.3 მხარეები ანახლებენ თავიანთი ვალდებულებების განხორციელებას ფორს-მაჟორული გარემოებების აღმოფხვრისთანავე, ხოლო საჭიროების შემთხვევაში თანხმდებიან შესრულების ახალ ვადებზე.

10. სადაო საკითხების გადაწყვეტა

10.1 ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმების გზით. უთანხმოების შემთხვევაში დავა განიხილება სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა

11.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2017 წლის 07 ნოემბრის ჩათვლით.

12. ინტერესთა კონფლიქტი

12.1 „შემსყიდველის" მხრიდან ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირი, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვის პროცედურაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

13. დასკვნითი დებულებები

13.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებანი ან/და ვალდებულებანი გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.

13.2 წინამდებარე ხელშეკრულებაში რომელიმე დებულების ბათილობა არ იწვევს ხელშეკრულების მთლიანად ბათილობას.

13.3 წინამდებარე ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელ ურთიერთობებზე ვრცელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა.

13.4 ხელშეკრულება შედგენილია ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითო გადაეცემათ მხარეებს.

14. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია"	შპს „სი-ტი პარკ"
საიდენტიფიკაციო კოდი: 206103722	საიდენტიფიკაციო კოდი 204543770
ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი №21	ქ. თბილისი, კანდელაკის ქ. №47
ტელ: 224 40 40	ტელ: 224 44 41
სს „საქართველოს ბანკი"	სს „ბანკი რესპუბლიკა" ც/ფ
ბანკის კოდი: BAGAGE22	ბანკის კოდი: REPLGE22
ანგარიშის № GE15BG0000000175520100	ანგარიშის № GE90BR0000010608618945
---	---
გენერალური დირექტორის მოადგილე	გენერალური მენეჯერი
გიორგი პაპავა	ბინიამინ ლაპავი

დანართი №1 2016 წლის 07 ნოემბრის №395.05.16 ხელშეკრულებაზე

ავტომანქანა	სახელმწიფო ნომერი
ტოიოტა კოროლა	JQJ 244
ტოიოტა კოროლა	ZSZ 241
ტოიოტა კოროლა	NXN 097
ტოიოტა პრადო	GG 041 TC
ტოიოტა პრადო	GG 007 TC
ტოიოტა პრადო	KAN 382
ჰიუნდაი ტუქსონი	ALX 901
ტოიოტა ჰაილუქსი	ZEZ 228
ვაზ 21074	WYW 354
ვაზ 21274	FNF 281
ტოიოტა ჰაილუქსი	OCO 227
ტოიოტა ჰაილუქსი	VVU 113
ტოიოტა ჰაილუქსი	YWY 335
ტოიოტა ლენდ კრუიზერ LC200	GG 707 TC

„შემსყიდველი"

შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია"

გიორგი პაპავა
გენერალური დირექტორის მოადგილე

„მიმწოდებელი"

შპს „სი-ტი-პარკ"

ბიჭიაშვილი ლაშა
გენერალური მენეჯერი